

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №11 ნოემბერი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

წმიდა დიდებული დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგი (23 ნოემბერი)

ყოველი ერი განსაკუთრებულ პატივს სცემს რომელიმე წმიდანს, ყოველ ერს ჰყავს თავისი განსაკუთრებული ზეციური მფარველი, რომელიც ლოცულობს ერისთვის და იფარავს განსაცდელთაგან.

წმიდა გიორგი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან, ჩვენთან ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. „არა არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენებულნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან და მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან იყო დაკავშირებული.

10(23) ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

23 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სიონის საკათედრო ტაძარში ჩაატარა გიორგობის დღისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა. აღსანიშნავი იყო ის ფაქტიც, რომ ამ დღესასწაულზე აღინიშნებოდა სიონის საკათედრო ტაძრის დაარსებიდან 10 წლისთავი.

13 ნოემბერი, ხსენება წმ. გაბრიელისა, აღმსარებლისა და სალოსისა

წმიდა ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი — სალოსი — სიყვარულის მქადაგებელი, სასწაულთმოქმედი მართლმადიდებელი ბერი, არქიმანდრიტი (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაზძე, დაიბადა 26 აგვისტოს 1929 წ. გარდაიცვალა 1995 წ.).

წმ. ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებლისა და სალოსის წმიდა ნაწილები დაბრძანებულია სამთავისის დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში ქ. მცხეთა.

მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტი, რომ მოკლე ხანში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში შენდება წმ. ღირსი მამა გაბრიელის აღმსარებლისა და სალოსის სახელობის ეკლესია.

გაბრიელ ბერის სწავლებანი:

ზღვები დაშრება, მთები დაიშლება, ქრისტეს დიდება არ მოიშლება.

ღმერთი დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, მას ღმერთიც უყვარს და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს ისე შეიყვარებს.

სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს, ღმერთს უყვარს კეთილი საქმე, კეთილი საქმე არის სიყვარული.

ხსენება — წმიდა დიდებული, ჟოვლადძებული, მოციქული და მახარებელი მათე (29 ნოემბერი)

წმიდა მოციქული და მახარებელი მათე, რომელსაც ლებეოსსაც უწოდებენ, ნაზარეთში დაიბადა. იგი მეზვერე იყო — ებრაელთაგან რომის ხელისუფლებისათვის ბაჟს კრეფდა. მეზვერეები ვერცხლიმოყვარეობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ამიტომ იუდეველებს მეზვერეები სძულდათ. ისინი ცოდვილებად მიაჩნდათ, მათთან საუბარიც კი ცოდვად ითვლებოდა.

იესო ქრისტემ კი, როცა მათე მეზვერე იხილა, მოუწოდა „მომდევდი მე“ და ისიც გაჰყვა მაცხოვარს.

მათემ მალე შეიგრძნო საკუთარი ცოდვები, მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა, თვითონ კი სხვა მოციქულებთან ერთად ქრისტეს შეუდგა. წმიდანი უსმენდა თავის ღვთაებრივი მოძღვრის დარიგებებს, ხედავდა მის ურიცხვ სასწაულს; თორმეტ მოციქულთა შორის ისიც დადიოდა საქადაგებლად და მაცხოვრის ჯვარზე ვნების, საკვდილის, ბრწყინვალე აღდგომისა და ზეცად ამაღლების მოწმეც შეიქმნა.

მას შემდეგ, რაც სულთმოფენობის დღეს უფლის სხვა რჩეულ მოწაფეებთან ერთად მათე მოციქული სულიწმიდის მადლოსილი ნიჭებით აღივსო, იგი რვა წლის მანძილზე ქადაგებდა პალესტინაში. ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად შორეულ ქვეყნებში გამგზავრების წინ მან იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაწერა სახარება, რომელშიც აღბეჭდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება.

ახალი აღთქმის წიგნებს შორის მათეს სახარება პირველ აგგილზე დგას. როგორც ვარაუდობენ, წმიდა მოციქულმა იგი პალესტინაში დაწერა ქრისტეს შობიდან 42 წელს, ებრაულ ენაზე, საიდანაც შემდგომ ბერძნულად ითარგმნა.

მათე მახარებელმა ქადაგებით შემოიარა სირია, მიდია, სპარსეთი, პართეთი და ბოლოს ეთიოპიაში მოწამეობრივად დაასრულა მოციქულებრივი ღვაწლი.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

სხენება წმიდათა 100 000 მოწამეთა თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა (13 ნოემბერი)

ქრისტიანულ საქართველოს კეთილმსახური მეფის, წმიდა თამარის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა.

ჩინგის ყაენისაგან ძლეული ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი დედასწულიანად აიყარა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული რუსუდანი განაგებდა. რუსუდანის ბრძანებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი გარნისთან გამართულ ომში დამარცხდა. გავიდა ხანი, ადარბადაგანსა და ნახჭევანს დამკვიდრებული ჯალალედინი თბილისისაკენ დაიძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“, დიდად დაჯაბნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს.

„ვინ-მე უძღოსა მაშინდელსა თქმულთა და ქმნულთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?“ — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი ქართლის ცხოვრების ამ უსაშინლეს დღეზე.

ჯალალედინის ბრძანებით სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

ასი ათასი ქართველი შეიწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას, ასი ათასი მოჭრილი თავი და ასი ათასი წარკვეთილი სხეული გაატანეს უსჯულოებმა მტკვარს. ამ დღიდან ასი ათასი მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღსრულების“ მათ სამშობლოში.

13 ნოემბერს დღის 1 საათზე საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოწოდებითა და ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ აქტიური მონაწილეობით მსვლელობა დაიწყო ვარდების მოედნიდან, სპორტის სასახლიდან და მეტრო ისნიდან. ისმოდა უწმინდესის მიმართვა: „მოგვიახლოვდა დიდი დღესასწაული. ჩვენ პატივს მივაგებთ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ წმინდანებს. ასეთი მოვლენა, ასეთი რიცხვი მოწამეთა თავდადებისა არ ყოფილა არც ერთ ქეყანაში. მათი ლოცვა შეგვწიოს ჩვენ და სრულიად საქართველოს.

დღის 3 საათზე უწმინდესმა გადაიხადა პარაკლისი. 100 000 წმინდანის პატივსაცემად მეტეხის ხიდიდან მტკვარში ჩაიყარა ყვავილები და გვირგვინი.

კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა 8(21 ნოემბერი)

მთავარანგელოზ მიქაელსა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრების აღნიშვნა გადაწყდა ლაოდიკოს აღგილობრივ კრებაზე, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში, ნიკეის I მსოფლიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიმართა. ლაოდიკოს კრებამ დაგმო და უარეყო ანგელოზებისადმი ღვთაებრივი პატივის მიგება და დაამტკიცა მათი მართლმადიდებლური თაყვანისცემა.

ანგელოზთა დასნი სამ იერარქიად განიყოფიან. უმაღლეს იერარქიას შეადგენენ: სერაბიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი. ყოვლადწმიდა სამებასთან ყველაზე ახლოს დგანან სერაბიმნი, ისინი ადამიანებს ღვთაებრივი სიყვარულის ალით აღაგზნებენ.

სერაბიმთა შემდგომ უფალთან დგანან ქერუბიმნი, რომელთა სახელი ნიშნავს: სიბრძნის გარდამოსვლას, განათლებას.

ქერუბიმებს მოსდევენ საყდარნი, რომლებიც ღვთის მართლმსაჯულებას ემსახურებიან.

ანგელოზთა საშუალო იერარქიას შეადგენენ: უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი.

უმდაბლესი იერარქია მოიცავს სამ დასს: საწყისნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

ანგელოზნი ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან, ისინი ღვთის განგებულებას გვამცნობენ. არასოდეს გვტოვებენ და მუდამ მზად არიან შეგვეწიონ.

ანგელოზთა დასის მთავრად დადგენილია მთავარანგელოზი მიქაელი, ღვთის ერთგული მსახური, რომელმაც გაიმარჯვა სატანის ძალებზე.

საღვთო წერილიდან და წმინდა გადმოცემიდან ცნობილია სხვა მთავარანგელოზებიც, რომელთაც სხვადასხვა კურთხევა აქვთ ღვთისაგან: გაბრიელი — სიმტკიცე ღვთისა, ღვთის საიდუმლოს კეთილი მაცნე, რაფაელი — ღვთიური მკურნალი, სნეულებათაგან ადამიანთა დამხსნელია. ურიელი — ღვთაებრივი ცეცხლი და ნათელი, განმანათლებელი. ბერმონაზონთა და ღვთისმეტყველთა მფარველად ითვლება. სელაფიელი — მლოცველს ნიშნავს. იგი ადამიანებს უხილავად შეეწევა ლოცვისას. ეგუდიელი – ღვთის დიდებას ნიშნავს. ის ადიდებს უფალს, განამტკიცებს და შუამდგომლობს მოღვაწეებს. ვარახიელი — კურთხევის ანგელოზს ნიშნავს. ადამიანებისათვის ღვთიური მოწყალების გამომთხოველია. იერომიელი — რაც ნიშნავს: ღვთისაკენ ამაღლებას, იგი საღვთო სიყვარულის აღმძვრელია და ვნებათა და ცოდვათა დაძლევაში შეგვეწევა.

მე მიყვარს კითხვა

ჩვენ ვხედავთ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის მრავალ ძირეულ პრობლემებს, რომელიც არ გვარდება არა ვიღაცის მიერ, არამედ ჩვენ მიერ და მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ჩვენ რაღაცას ვაკლებთ ჩვენი წინსვლის პრაქტიკას.

სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, განათლების პრობლემა, თუ უმთავრესი არა, ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა ჩვენს რეალობაში. მრავალი რეფორმის ჩატარების მცდელობა იყო და ჩატარდა კიდევაც, მაგრამ რეალურად შედეგი არა გვაქვს. მართალია, განათლების რეფორმა, როგორც წესი, წლების შემდეგ იძლევა შედეგს, მაგრამ დავფიქრდეთ, მოგვცემს შედეგს ის, რაც არის დღეს? როგორც ყველაფრის საწყისად ძირი, საფუძველი მიიჩნევა და არა კენწერო, ჩვენც განათლებას ძირშიევე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. აბა, გავიხსენოთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, როგორ გვიხსნის სწავლის აუცილებლობას, ცოდნის შეძენის აუცილებლობას.

„ისმინე, სწავლის მძებნელო! მოჰყევ დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“.

დავით გურამიშვილი ჭკვიან, მაგრამ გაუნათლებელ ადამიანზეც მიგვითითებს, რომ იგი უხორთუმო სპილოს ჰგავს.

„ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!“

როცა ვხვდებით განათლებულ, მცოდნე ლექტორს, მეცნიერს, მასწავლებელს და ვესაუბრებით, მას იმდენი მაგალითები მოჰყავს სხვადასხვა წიგნებიდან, მოღვაწეთა ცხოვრებიდან, რომ ხშირად გვიჩნდება კითხვა, როდის მოასწრო ამ ადამიანმა ამდენის წაკითხვა? საიდან იცის ამდენი? ან როგორ იმახსოვრებს? რაც უფრო მეტს ვკითხულობთ და ვამახსოვრებინებთ ჩვენს ტვინს, მით უფრო მეტი შესაძლებლობები უჩნდება მას. რაც უფრო მეტი გვაქვს წაკითხული, მით უფრო ენაწლიანები ვართ. მით უფრო მოხერხებულად და გონივრულად ვწყვეტთ ამა თუ იმ საკითხს.

ხშირად სკოლებში მოსწავლეებს ცალკეული მასწავლებლები ძალიან უყვართ. მოსწონთ მათ გაკვეთილებზე ყოფნა, მათი მოსმენა. ზოგ შემთხვევაში პირიქით, ეზარებათ და იძულებული არიან, ისხდნენ და უსმინონ. ამის ყველაფრის დასტური, ჩემი აზრით, არის ის, რომ სკოლის პედაგოგი საინტერესოა და მიღებულია აუდიტორიისათვის და დაინტერესებაც მაღალია. პატივისცემა და მოწიწებაც აღმატებულია. და რა ხდის მასწავლებელს საინტერესოს? რა თქმა უნდა, მისი ინტელექტი, რომელსაც იძლევა ცოდნა. ცოდნას გვაძლევს განათლება, სწორ დროს და სწორად შერჩეული. ყოველდღიური ჩვენი ცხოვრებაც ხომ ჩვენს განათლებასა და

აქტივობაზეა დამოკიდებული. გამომდინარე აქედან, არსებულ სავალდებულო განათლებას აუცილებლად უნდა დავამატოთ არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების მისაღებად, როგორიცაა წიგნების კითხვა.

რამდენიმე დღის წინ ჩვენ გიმნაზიაში ცოდნის სამყაროდან შემოგვთავაზეს პროექტი „მე მიყვარს კითხვა“, „ვკითხულობ სკოლიდან“ მონაწილეობის მიღება, მე არ ვიცი, პროექტს რამდენად ხარისხიანად გავაკეთებთ, მაგრამ ჩემთვის ის უფრო საინტერესოა, თუ კი მოსწავლეები დაინტერესდებიან და წიგნის კითხვას შეიყვარებენ.

პროექტი ითვალისწინებს სკოლაში შეიქმნას სამკითხველო წრეები, სადაც წავიკითხავთ წიგნებს ერთად და ვიმსჯელებთ ცალკეულ საკითხებზე. კვირაში ორი დღე დაეთმობა 2-საათიან კითხვის პროცესს.

კითხვა განხორციელდება შემდეგნაირად: ერთ-ერთი მოსწავლე დგება კათედრასთან, შლის წიგნს და აუდიტორიის წინაშე იწყებს კითხვას. კითხვის ხანგრძლივობა თითოეული მოსწავლისთვის უნდა განისაზღვროს 10 წუთი, შემდეგ აგრძელებს მეორე, ასევე 10 წუთის განმავლობაში და ა. შ. ასე გრძელდება 1 საათი და 10 წუთი. კითხვის პროცესის მიმდინარეობას თვალყურს აღევნებს და ყველა პროცესს ხელმძღვანელობს მასწავლებელი (პედაგოგს აქვს უფლება, შეაჩეროს კითხვის პროცესი და მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე არა უმეტეს 10 წუთისა).

ყოველ სამკითხველო დღეს მოცემული იქნება სადისკუსიო (აზროვნების) თემა წაკითხული მასალიდან, რომელსაც მომდევნო სამკითხველო დღისთვის მოამზადებს 1 ან 2 მოსწავლე და გააკეთებს პრეზენტაციას. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სხვა მოსწავლეები დაუსვამენ შეკითხვებს გამომსვლელებს. სადისკუსიო თემის განხილვას დაეთმობა 30 წუთი. ეს არის სამკითხველო 2 საათის ბოლო 30 წუთი.

მადლობა უფალს და მადლობა მეუფე იეგუდიელს გიმნაზიის დირექტორს, გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალ დონეზე მოწყობისათვის. კითხვისათვის გამოყენებული იქნება საკონფერენციო დარბაზი. მონაწილეობას მიიღებენ VI-VII კლასის მოსწავლეები.

იმედი მაქვს, ბავშვები ინტერესით მოეკიდებიან აღნიშნულ ღონისძიებას. ჩვენც, პერიოდულად გაცნობებთ გაზეთის მეშვეობით, რა შედეგს გამოიღებს ჩვენი წამოწყება.

ც. ღუდუშაური

დეკემბრის თვის საეკლესიო კალენდარი

4 — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

6 — მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტისა (ფერაძე. 1942 წ.)

კეთილმორწმუნე მთავრისა ალექსანდრე ნეველისა (1263)

13 — ხს. წმ. მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა. ხს. წმ. ვახტანგ გორგასლისა

15 — ღირსი იესესი, წილკნელი ეპისკოპოსისა.

17 — ბარბარობა

19 — ნიკოლოზობა.

24 — ხს. ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა.

25 — წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელისა [აღსაყდრების (ინტრონიზაციის)] დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-ისა.

პოეზიის საღამო წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში

პოეზიისადმი სიყვარული მოხვეევებს უხსოვარი დროიდან მოსდგამს. ხალხური პოეზია და ხალხური თქმულებები ასაზრდოებდა ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ ქმნილებებს, რამაც ასე გაუთქვა სახელი ხევის ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებას. მოხვევე პოეტების ალექსანდრე გომიაშვილის, მირანგულ ავსაჯანიშვილის, იორამ და შალვერდ ღუდუშაურების და სხვათა პოეზიას.

რა შეგვიძლია ვთქვათ თენგო ავსაჯანიშვილის პოეზიაზე? ის მართლაც თვითნაბადი მარგალიტივით ბრწყინავს თანამედროვე პოეზიაში. მისი გულწრფელი სტრიქონები, რომლითაც ის საშშობლოს უმდერის, ხევის ბუნება, თერგი და მყინვარია მისი პოეზიის შთაგონების უშრეტი წყარო.

თენგო ავსაჯანიშვილი ფოლკლორის ეროვნული ლაურეატის პრემიით არის დაჯილდოებული ზეპირსიტყვიერების დარგში.

თენგო მუდამ თავის ხალხთანაა, ცდილობს არა მარტო უფროსები, მოზარდი თაობაც აზიაროს ლექსის სიბრძნეს.

24 ნოემბერს გიმნაზიის სააქტო დარბაზში (რადგან სხვა დარბაზი ან კლუბი ხევში არ არსებობს) თენგო ავსაჯანიშვილსა და მისი ყაზბეგზე შეყვარებული მეგობრების, ახალგაზრდა პოეტების მიხეილ თუმანიშვილისა და ჯუბა ღებელის (გოგრიჭიანი) პოეზიის საღამო იქნა ჩატარებული. ძირითადად ესწრებოდნენ გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლები და მოსწავლეები. საღამო მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა.

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს. სცენა დაიკავეს პატარა დეკლამატორებმა და მომღერლებმა. ანანო ჩქარეულის, ანი შიოლაშვილისა და მარიამ ქუშაშვილის ხალხურ საკრავებზე შესრულებული სიმღერების ფონზე გიმნაზიის მოსწავლეები: ომარ ქობალია, დიტო სუჯაშვილი, გიორგი ბუწუკური, ლუკა ჩქარეული და სხვები გრძნობით კითხულობდნენ ლექსებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია გიმნაზიის მოსწავლის ციური ფიცხელაურის მხატვრულად წაკითხული ამირან ჯანჯღავას ლექსი „სამება“.

მოხვეევები განსაკუთრებულად გრძნობენ ლექსს და ეს მათ ბავშვობიდან მოსდგამთ, — აღნიშნა თენგო ავსაჯანიშვილმა, ეს კარგად გამოჩნდა დღევანდელი ჩვენი თავშეყრიდანაც — ბავშვები სულგანაბულნი გვისმენენ. თენგომ მადლობა გადაუხადა როგორც ბავშვებს, ასევე მათ მასწავლებლებს ბავშვების ასე კარგად აღზრდისათვის.

საღამომ შინაურ და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და დარჩა სურვილი, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად იქნეს ჩატარებული.

თენგო ავსაჯანიშვილთან ერთად საკუთარი ლექსები წაიკითხეს ჯუბა ღებელმა და მიხეილ თუმანიშვილმა.

გთავაზობთ თენგო ავსაჯანიშვილის, მიხეილ თუმანიშვილისა და ჯუბა ღებელის ლექსებს.

შენმა სიშორემ გადამარჩინა

ერთ კლდის დაპყრობა მეწვია აზრად,
არ შემსწრებოდა მთამსვლელი ბრძენი: —
„საკმარისია სცადო იქ ასვლა,
საფლავად გექცეს ქვა-ღორღის მტვერი.
ნუ იმეტებთ თავს სასიკვდილოდ,
თვალს თუ ახარებ შორიდან ცქერით,
ვიდრე მიზანი გზას აგიცდინო,
მას სინამდვილე სჯობს უფრო წრფელი“.
ბილიკებს იქით აღარ მივიკვლევ,
დაობლებული ნატვრით ფერწერილს,
მთა ჰგავს სიყვარულს, შენს გულს და ფიქრებს,
დაუპყრობელი ბედის შემცველი.
მიუკარები მთა ქაბარჯინა,
ჩემი ოცნების გულქვა მოძღვარი,
შენმა სიშორემ გადამარჩინა
და ამიტომაც დავრჩი ცოცხალი!

მიხეილ თუმანიშვილი

მოხვეევებს

მიყვარხართ, მოხვეევებო,
თქვენი დიდგულა გულებით,
ნისლებიც მიყვარს, მაგ მთებს რო
არიან შეხიზნულები.
მიყვარხართ, მოხვეევებო,
თქვენი წესით და ადათით,
მიყვარს ეგ ღვარად მდინარე,
თერგიც როა და არაგვიც.
მიყვარხართ, მოხვეევებო,
მაგ „ოქროს მამაწმიდათი“
თქვენი გერგეტის სამებით,
თქვენი მოდგმით და წინაპრით.
მიყვარხართ, მოხვეევებო,
მტკივა რო ბარში ვბრუნდები,
ნისლებიც მიყვარს, მაგ მთებს რო
არიან შეკიდულები!

ჯუბა ღებელი

წიგნს თუ არვინ გაშლის

ამას გეტყვი — მკითხველს,
ჩემი მახარია,
წიგნს თუ არვინ გაშლის,
წიგნიც საფლავია.

მიგნებული განძიც
მიწის ნაფარია,
თუ არ ნახავს ხალხი,
თუ არ დაჰხარიან.

თუ გადაშლი ამ წიგნს,
ლექსთა საფარია,
თუ არა და... მაშინ
ჩემი საფლავია.

თენგო ავსაჯანიშვილი

„დიდი რაგბი ყაზბეგში“

ჩვენი გაზეთის „ჩემი გიმნაზიის“ ფურცლებზე საუბარი გვქონდა ახალგაზრდა ენთუზიასტ, ბესარიონ შენგელიას შესახებ, რომელმაც ყაზბეგის რაიონში მოსწავლეთა ძალებით ჩამოაყალიბა რაგბის გუნდი. მოხვევე ახალგაზრდები სიხარულით შეხვდნენ ამ წამოწყებას და მონდომებით ჩაერთვნენ სპორტის ამ სახეობაში. გვესაუბრება გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე, ახალგაზრდა რაგბისტი ირაკლი ბედოევი.

ქართული რაგბი 50 წლისაა. საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრები შეიქმნა 1956 წელს და მასში მონაწილე რაგბისტებმა თავიდანვე წარმატება მოუტანეს საქართველოს.

მინდა გესაუბროთ მოხვევე რაგბისტებზე. დათო ქირიკაშვილი და სოსო ნიკოლაენკო ძალიან ახალგაზრდები ჩაერთვნენ ამ ვაჟკაცურ სპორტში და სულ მალე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ისინი მიწვეულნი იქნენ საზღვარგარეთ, დათო ქირიკაშვილი თამაშობს ანდორის ნაკრებ გუნში, ხოლო სოსო ნიკოლაენკო — საფრანგეთში. ისინი სტიმულს გვაძლევენ, ვხედავთ, რომ თუ თავდაუზოგავად ვიშრომებთ, შედეგი არ დააყოვნებს.

წინაპრების კვალს წარმატებით აგრძელებენ ჩვენი ახალგაზრდა მოხვევე მორაგბეები. ისინი ყოველწლიურად აუმჯობესებენ შედეგებს და უფრო წინ მიიწევენ. საქართველოს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდაა, რომლებსაც დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა მამუკა გორგოძე, რომელიც 2014 წლის საუკეთესო მერვე ნომრად დაასახელეს. მასზე ერთი ფრანგი გუნდელი წერდა: „მამუკასთან თამაში უფრო მტკივნეულია, ვიდრე ლურსმნებით გატენილი ტომარასთან“.

ჩვენი გაზეთის „ჩემი გიმნაზიის“ ფურცლებზე დაიწერა ჩვენი მწვრთნელის ბესარიონ შენგელიას შესახებ, რომელმაც ჩვენი დიდი სიყვარული დაიმსახურა და შეიძლება ითქვას, რომ მან ამ მოკლე ხანში გუნდის ჩამოყალიბება შეძლო. ჩვენი გუნდი წელს გავიდა საქართველოს ჩემპიონატზე. ჩემი და ჩემი უმცროსი თაობის შედეგები შეიძლება ჯერჯეროობით ბრწყინვალე არ იყოს, მაგრამ რაგბი არის სპორტის ის სახეობა, რომელსაც წარმატებისათვის სჭირდება თავდაუზოგავი შრომა და დრო. ჩვენს გუნდს კი ეს დრო წინა აქვს.

სოსო ნიკოლაენკო

ყაზბეგის რაგბის უმცროსი თაობის წარმატებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი გიმნაზიის მოსწავლეთა თამაშს. გუნდის წარმატებისათვის თავდაუზოგავად იბრძვიან გიმნაზიის მოსწავლეები. ესენია: გიორგი ქირიკაშვილი, გიორგი და თორნიკე მოსკოვჩენკოები, ზურა ბაქრაძე, ბიჭიკო ალიბეგაშვილი, თემო ბუწუკური, ლუკა გიგაური, ლაშა და გიორგი სუჯაშვილები და სხვები.

ჩემი გუნდის სახელით პირობას ვდებ, რომ ჩვენ გავაკეთებთ მაქსიმუმს, რაც მოხვევების გულს გაახარებს.

ჩემი სამომავლო გეგმები პირდაპირიაა დაკავშირებული რაგბთან. მე ვიცი, რომ ჩემი მაქსიმუმი უნდა ჩავდო მასში და იმედს ვიტოვებ, რომ ეს მაქსიმუმი შედეგს გამოიღებს.

სურათზე დათო ქირიკაშვილი

26 ოქტომბერს ყაზბეგის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრი „დიდი რაგბის“ სახელწოდებით, სადაც მოხვევე მორაგბეებმა შესანიშნავი შედეგი აჩვენეს:

ყაზბეგი-ჯვაროსნები — 13-12
ყაზბეგი-დევები — 40-10
ყაზბეგი-მარბიელი — 104-0
ყაზბეგი-წიქარა — 36-3
ყაზბეგი-თელავი — 27-25

ჩვენი გაზეთის საშუალებით წარმატებას ვუსურვებთ რაიონის ახალგაზრდა რაგბისტებს.

მოამზადა ირაკლი ბედოევმა

ფოტო კონკურსისათვის

ჩემი სამება და ჩემი მთები

ფოტო გიორგი ქირიკაშვილის

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (ყაზბეგი)

არქიტექტურული ძეგლი დგას დაბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე, მუუალ კლდეზე. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია ფიქლით. აღმოსავლეთი კედელი მიშენებულია კლდეზე. ხოლო ჩრდილოეთით თავად კლდეა გამოყენებული. წყობა მშრალია, დაზიანებულია, ჩაქცეულია სახურავი და დასავლეთის კედელი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი დაბალია, ოთხკუთხა. აღმოსავლეთ კედლის მთელ სიგრძეზე თაროა მოწყობილი. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში პატარა ოთხკუთხა სარკმელია აფსიდში და სამხრეთ კედელზე შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. სამხრეთ კედელთან საკურთხველის ქვა ძევს.

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი